საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 7 2026 წლის 9 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს გამოანგარიშების წესისაგან განსხვავებული საგამონაკლისო წესის დადგენის თაობაზე

1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დადგინდეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს გამოანგარიშების წესისაგან განსხვავებული საგამონაკლისო წესი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2026 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

დანართი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს გამოანგარიშების წესისაგან განსხვავებული საგამონაკლისო წესი

მუხლი 1. დადგინდეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომ - მართვის სისტემა) იმ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობათა/ფუნქციათა ნუსხა, რომელთა განხორციელების შემთხვევაში, მათი თანამდებობრივი სარგო გამოანგარიშდება წინამდებარე წესის შესაბამისად:

ა) ანალიტიკოსი/ბიზნეს ანალიტიკოსი - ინფორმაციული სისტემების შექმნის/დახვეწის და პროგრამული უზრუნველყოფის მიზნებისათვის ბიზნეს პროცესებისა და ამოცანების ანალიზი, ინფორმაციულ სისტემებთან და პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროექტების მართვა; ინფორმაციული სისტემების სპეციფიკაციების, ტექნიკური დავალების და არქიტექტურის შემუშავება; ინფორმაციული სისტემების ფუნქციონალის/მოდულის ტესტირების გეგმის შემუშავება; ამავე სფეროში ტესტირებისა და დანერგვის პროცესში ჩართულობა;

ბ) პროგრამისტი (უფროსი, არქიტექტორი) - საინფორმაციო სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და მოდერნიზაცია, პროგრამული კოდის შემუშავება, არსებული პროგრამული კოდის რევიზია, ოპტიმიზაცია, გაუმჯობესება. უშუალოდ პროგრამირების პროცესთან დაკავშირებული საპროექტო დოკუმენტაციის შექმნა; პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებისა და ხარისხის კონტროლის პროცესში ჩართულობა; პროგრამული კოდის/სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით ახალი ალგორითმის და არქიტექტურის შემუშავება;

გ) კომპიუტერული სისტემების ადმინისტრატორი (უფროსი) - საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების დაგეგმვა/დანერგვა/ადმინისტრირება, სისტემების ინსტალაცია/განახლება. აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, კონფიგურირება და განახლება. შესაბამისი პროცესების კოორდინაცია, მონიტორინგი და ოპტიმიზაცია;

დ) კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი (უფროსი) - კომპიუტერული ქსელების არქიტექტურის განსაზღვრა/დაგეგმვა/ადმინისტრირება. აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, კონფიგურირება და განახლება. შესაბამისი პროცესების კოორდინაცია, მონიტორინგი და ოპტიმიზაცია;

ე) კომპიუტერული ქსელების ან/და სისტემების არქიტექტორი - კომპიუტერული სისტემების ან/და ქსელების არქიტექტურის დაგეგმვა/ადმინისტრირება. აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის, კონფიგურაციისა და განახლების პროცესების კოორდინაცია და მონიტორინგი;

ვ) ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარი მენეჯერი ან/და კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტი - ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის უფლებამოსილების ან/და კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტის მოვალეობების შესრულება;

ზ) ქსელური და სისტემური ინფრასტრუქტურისა ან/და მართვის სისტემების მთავარი არქიტექტორი - ქსელური და სისტემური ინფრასტრუქტურის განვითარების, ან/და ინფორმაციული სისტემების შექმნისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავება და მართვა. ამ მიზნებისათვის ბიზნეს პროცესებისა და ამოცანების ანალიზი, პროექტების დაგეგმვა და კოორდინირება.

მუხლი 2. წინამდებარე წესის პირველი მუხლით განსაზღვრულ თანამდებობებზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს შემდეგნაირად:

N	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა
1)	ანალიტიკოსი/ბიზნეს ანალიტიკოსი	არაუმეტეს 8250 (რვა ათას ორასორმოცდაათი) ლარისა
2)	პროგრამისტი (უფროსი)	არაუმეტეს 9980 (ცხრა ათას ცხრაასოთხმოცი) ლარისა
3)	პროგრამისტი (არქიტექტორი)	არაუმეტეს 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარისა
4)	კომპიუტერული სისტემების ადმინისტრატორი (უფროსი)	არაუმეტეს 9980 (ცხრა ათას ცხრაასოთხმოცი) ლარისა
5)	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი (უფროსი)	არაუმეტეს 9980 (ცხრა ათას ცხრაასოთხმოცი) ლარისა
6)	კომპიუტერული ქსელებისა ან/და სისტემების არქიტექტორი	არაუმეტეს 9680 (ცხრა ათას ექვსასოთხმოცი) ლარისა
7)	ქსელური და სისტემური ინფრასტრუქტურისა ან/და მართვის სისტემების მთავარი არქიტექტორი	არაუმეტეს 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარისა
8)	ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარი მენეჯერი ან/და კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტი	არაუმეტეს 10650 (ათი ათას ექვსასორმოცდაათი) ლარისა